ბრძანება:**№24. 242322618**

თარიღი:**14/08/2023**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე მუხლის; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების; „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების თანამდებობების/პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის N7 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები დანართი №1-ის შესაბამისად.
2.ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 ივნისის №24. 242313613 ბრძანება "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".
3.დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (http://zugdidi.mun.gov.ge/) გამოქვეყნება.
4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. № 12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი